ხელშეკრულება 05.03.2019/2
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ.გორი **05.03.2019 წ.**

ერთის მხრივ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო (შემდგომში-შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის გელა კაპანაძის სახით და მეორეს მხრივ შპს ,,კაპწალა" (შემდგომში-მიმწოდებელი) **წარმოდგენილი მისი დირექტორის ლაშა გულისაბედაშვილის სახით,გამარტივებული შესყიდვების საშუალებით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მე-5 პუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში-ხელშეკრულებას) შემდგომზე:**

1.ხელშეკრულების საგანი

1.1. სააგენტოს შემავალი ახალგაზრდობისა და კულტურის განყოფილებისთვის გაზის გამათბობლის წყლის სისტემის მონტაჟის შესყიდვა.

№	შესყიდვის კატეგორია	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რაოდ.	ერთ.ფასი	საქონლის ფასი
1	44163121	გათბობის ქვაბის მილი და ფიტინგი	ცალი	4	240	960
2	44166000	გათბობის ქვაბის თუნუქის გამწოვი მილი	მეტრი	8	44	352
3	45315000	გათბობის ქვაბის დემონტაჟი მონტაჟი				400
4	45315000	გათბობის ქვაბის თუნუქის გამწოვი მილის მონტაჟი				210

2.ხელშეკრულების ღირებულება

21 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1922 (ერთი ათას ცხრაას ოცდაორი) **ლარს.**
2.2 ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.
2.3 დაფინანსების წყარო: 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

3.შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1.მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადები

4..1.საქონლის (მომსახურების) მიწოდება განხორციელდება: **2019 წლის 10 მარტამდე**
4.2. საქონლის მიწოდების ადგილი **ქ. გორი, მშვიდობის გმ-რი 12ა**

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სააგენტოს მატერიალურ ტექნიკური სამსახურის სპეციალისტი **ნიკოლოზ მახარობლიძე**.
5.2 საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.3 მიღება-ჩაბარების აქტს ადგენს შემსყიდველი და მას ამოწმებენ მხარეები საქონლის მიწოდებამდე.

6.ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარი).
6.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

6.4 მიმწოდებლებთან ანგარიშსწორება განახორციელდება მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურისა ან ზედნადების საფუძველზე არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

7.მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1.შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.
7.2.შემსყიდველს უფლება აქვს: განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.
7.3.შემსყიდველი ვალდებულია: დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად; უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება;
7.4.მიმწოდებელს უფლება აქვს :მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
7.5.მიმწოდებელი ვალდებულია: დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1.მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2.თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
8.3.ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
8.4.ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
8.5.ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების **0,02 %** ის ოდენობით.

9.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2019 წლის 05 მარტიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 აპრილის ჩათვლით

10.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

11 ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
11.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
13.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
13.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
14.2. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.3 2019 წლის 1 იანვრიდან, შესყიდვებში მონაწილეობის მსურველები/პრეტენდენტები/მიმწოდებლები „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების საფუძველზე ვალდებულები არიან, სახელმწიფო შესყიდვებში ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთ ელექტრონულ დოკუმენტებზე შეასრულონ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და ეს დოკუმენტები დაამოწმონ კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

15. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითრების ხელშეწყობის სააგენტო	შპს „კაპწალა“
მის. ქ. გორი, მშვიდობის გამზ. №12ა	მის: ქ. თბილისი, ზაალ ბრიუკენის მოედანი 2/8
ს/კ: 418471031	ს/კ 204559343
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	ბანკი: სს „თიბისი ბანკი”
ბ/კ: TRESGE22	ბანკის კოდი: TBCBGE22
სახაზინო ანგარიში: 3504100000	ა/ა: GE66TB4311936020100004

შემსყიდველი	მომწოდებელი
Gela Kapanadze Digitally signed by Gela Kapanadze Date: 2019.03.05 17:37:23 +04'00'	

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის ხელშეწყობის განვითარების სააგენტო

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

თარიღი: 05.03.2019წ
მიმწოდებელი: შპს „კაპწალა“ (ს/კ:204559343)

ხელშეკრულება: N-05.03.2019/2

იტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების“ **მე-8 მუხლის „ინტერესთან კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები“შესაბამისად** ვადასტურებთ, რომ **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითრების ხელშეწყობის სააგენტოს (ს/კ:418471031)** თანამშრომლები ზემოაღნიშნულ მიმწოდებელთან არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით:

სააგენტოს დირექტორი **გელა კაპანაძე**

Gela Kapanadze

Digitally signed by Gela Kapanadze
Date: 2019.03.05 17:38:02 +04'00'

შესყიდვის სპეციალისტი: **მარინე მთიულიშვილი**

Marine Mtiulishvili

Digitally signed by Marine Mtiulishvili
Date: 2019.03.05 17:38:42 +04'00'